



## ბიოეთიმის დეპარტამენტი



პროფესორი პაათა თეშურაშვილი  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნასთან მერკევილაძე



ასოცირებული პროფესორი ეკა ეპალაძე



ასისტენტ-პროფესორი მანანა პაპავა



## ბიოექიმის დეპარტამენტი



ასისტენტ-პროფესორი ნათია კახუთაშვილი



ასისტენტ-პროფესორი ელენე წიწილაშვილი



## ბიოქიმიის დეპარტამენტი



ბიოქიმიის დეპარტამენტი შეიქმნა 1919 წელს "ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის" სახელწოდებით. კათედრის პირველი გამგე იყო პროფესორი ა. მალენიუკი. 1921-1927 წლებში კათედრას განაგებდა პეტრე მელიქიშვილი, ხოლო 1927-1931 წლებში - პროფესორი იოველ ქუთათელაძე. 1930 წელს კათედრას ეწოდა " ბიოლოგიური ქიმიის კათედრა", ხოლო 1944 წელს - " სამედიცინო ქიმიის კათედრა." კათედრას ხელმძღვანელობდნენ: მ.მ.დ. ვასილ ვარაზი (1931-1969), პროფესორი ელენე ქუთათელაძე (1969-1985), პროფესორი ლეილა ტყეშელაშვილი (1985-1995), პროფესორი ეკა რაფავა (1995-2006). 2006 წლიდან დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი პაატა თუშურაშვილი.

დეპარტამენტი ისწავლება ბიოქიმიის კურსი ფარმაციის, მედიცინის, საზოგადოებრივი კანდაცვისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. კურსის სწავლების დროს გათვალისწინებულია, როგორც თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკა, ასევე საერთო თემატიკა - მეტაბოლური გზების ორგანიზებისა და რეგულაციის პრინციპები. ბიოქიმიის კურსი დაფუძნებულია თ. დევლინის სახელმძღვანელოზე "ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით", რომელიც ითარგმნა ბიოქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით.

სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით დეპარტამენტის ინტერესის სფეროს შეადგენს მეტალების ჰომეოსტაზი და მეტალების მონაწილეობა დამცველობით სისტემებში, ასევე ნაწლავის ფიზიოლოგიური მოდელის შექმნა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება *in vivo* მიმდინარე პროცესების შესწავლა რეალურ დროში, თანამედროვე LIFE (Laser Induced Fluorescence) - ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია უჯრედის მემბრანების სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა ტრანსპორტირების პროცესში, ცალკეული მეტაბოლიტების *in vivo* კონცენტრაციისა და ფერმენტების აქტივობის დადგენა, ცილოვანი კომპლექსების წარმოქმნის და დაშლის, წამლების მეტაბოლიზმისა და მოქმედების მექანიზმების შესწავლა და ა.შ.